

საქართველოს საპატრიარქოს განმარტება (28. 10. 2020)



მრევლში გაუგებრობა გამოიწვია ა. წ. 19 ოქტომბერს, თომა მოციქულის ხსენების დღეს, რუის-ურბნისის ეპარქიაში, ყინწვისის წმ. ნიკოლოზის სახ. ტაძარში, მღვდელმონაზვნების,- იერონიმესა (ქათამაძე) და ირინეოსის(შენგელია), - მიერ შესრულებულმა ე. წ. იაკობის ჟამისწირვამ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენთან შემოსული შეკითხვები ძირითადად ასეთია: იყო თუ არა სწორი არატრადიციული სამოსით (CASULA) წირვის ჩატარება, ასევე, - მსახურება საკურთხეველის გარეთ და რამდენად ნებადართული იყო ყოველივე ეს?

განვმარტავთ:

სამღვდლო CASULA არასოდეს ყოფილა მართლმადიდებელ ეკლესიაში მიღებული შესამოსელი, მითუმეტეს უძველეს დროში. იგი რომის კათოლიკური ეკლესიის წიაღში ძირითადად XIII-XV საუკუნეებიდან მკვიდრდება და შემდეგ სხვა დენომინაციებშიც ვრცელდება, ხოლო აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში არასოდეს მოიხმარებოდა. ამდენად, არამართლმადიდებლური ტრადიციის სამოსის უძველეს მართლმადიდებლურ შესამოსლად წარმოჩენა და მსახურებაში გამოყენება, დაუშვებელია.

რაც შეეხება მეორე საკითხს:

ქართულ ენაზე არსებობს იაკობის ჟამისწირვის რამდენიმე რედაქცია, მაგრამ საიდლეისოდ მისი გამოყენებისათვის სათანადო კომისიის მიერ შეჭერებული ტექსტი და წეს-განგება ჯერ არ გვაქვს.

საღმრთო ჟამისწირვა არის საზოგადო-საეკლესიო მსახურება და ამასთან ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფლობის მთავარი გამომხატველი. ამიტომ არცერთ მღვდელმთავარს არა აქვს უფლება, განსხვავებული სახის მსახურების დანერგვისა, თუ ამაზე, როგორც აღვნიშნეთ, არ იქნა სათანადო კომისიის დასკვნა და წმ. სინოდის თანხმობა (გამონაკლის შემთხვევებზე ლოცვა-კურთხევა გაიცემა კათოლიკოს-პატრიარქისგან). წმ. სინოდის მიერვე უნდა დადგინდეს ნებისმიერი ცვლილება საუფლო წირვასთან მიმართებაში; იაკობის ჟამისწირვასთან დაკავშირებით კი ასევე უნდა განისაზღვროს კონკრეტული დღეები მისი აღსრულებისთვის.

ჩვენთან ხელნაწერების საფუძვლიანად შესწავლა მიმდინარეობს და შესაძლებელი გახდება წმ. იაკობ მოციქულის მსახურების სრულყოფილად განახლება. ეს აუცილებელი და საშური საქმეა, მაგრამ ვიდრე ესა თუ ის საკითხი კვლავაც საკამათოა და არ გვაქვს საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე, მისი ჩატარება არის თვითნებობა და დაუშვებელი, რათა არ დამკვიდრდეს არასწორი წესი.

ცნობილია, აღნიშნული მსახურება დიდი ხნის მანძილზე თითქმის არ სრულდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიაში, მათ შორის საქართველოში. მისით დაინტერესება ძირითადად ბოლო საუკუნეებში მოხდა. ამასთან მიჩნეულია, რომ იერუსალიმური ტრადიციის ამ ჟამისწირვის უძველესი რედაქციები ყველაზე სრული სახით ქართულ ხელნაწერებშია დაცული. ამიტომაც მართებული მსახურების აღდგენისათვის ისინი წარმოადგენს ფასდაუდებელ ლიტურგიკულ წყაროს მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის.

არსებული მასალა ადასტურებს, რომ სასულიერო პირთაგან ამ წირვის აღსრულება ხდებოდა მხოლოდ ტაძრის საკურთხეველში. საკურთხეველის გარეთ კი მისი ჩატარება, აუცილებლობის გარეშე, დაუშვებელია.

ამდენად, მღვდელ-მონაზონთა, – იერონიმესა და ირინეოსის, –ქმედებები არის ყოვლად გაუმართლებელი და საეკლესიო სასჯელს ექვემდებარება.

ვიმედოვნებთ, მროველ-ურბნელი მიტროპოლიტი იობი(აქიაშვილი), რომლის უშუალო დაქვემდებარებაშიც ისინი არიან, ეკლესიის ერთობის წინააღმდეგ მიმართულ მათ ამ და სხვა ქმედებებზე მოახდენს სათანადო რეაგირებას, რათა ეს და მსგავსი ცთომილებები აღმოიფხვრას.

— patriarchate.ge